www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 11 აგვისტო, 2012 წელი. | №3088 (181) | ფასი 50 თეთრი

კახი კალაძის ქონებას ყადაღა დაედო

თბილისის საქალაქო სასამართლომ კახი კალაძე ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო და 16 944 900 ლარის ჯარიმა დააკისრა. გარდა ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაყადაღდა კახი კალაძის უძრავ-მოძრავი ქონებაც - კომპანიები "მაქს ბეტი", "კალა კაპიტალი", საცხოვრებელ სახლები და ავტომობილები. ასევე, სასამართლომ დააყადაღა კალაძის საბანკო ანგარიშები.

დაკისრებული ჯარიმა კახი კალაძემ შვიდი დღის ვადაში უნდა გადაიხადოს. თუმცა, მანამდე, კახი კალაძეს ეძლევა 48 საათი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმით თბილისის საქალაქო სასამართლოს აუდიტის სამსახურმა მიმართა და კახი კალაძის დაჯარიმება და მისი უძრავ-მოძრავი ქონების დაყადაღება მოითხოვა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ვერცხლისფერი სინანული

კახა ფაჩუაშვილი
ლონდონიდან

ქართულ ყულაბას კიდევ ერთი მედალი შეემატა. ლაშხის შემდეგ ვერცხლის კვარცხლბეკზე ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ავიდა. მედალი კარგია, მაგრამ საერთო აღიარებით, ლადოს მეტი შეეძლო და გულდასაწყვეტია, რომ ქართველმა ფალავანმა ეს ვერ მოახერხა. ლადო ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონია და ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდა.

სხარტი და გამარჯვებაზე დაგეშილი ფალავნისგან საქართველოს ნაკრების ბანაკი მედალს მოელოდა.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

რუსეთი ირანს პოლიტიკური მხარდაჭერის შეწყვეტით ემუქრება

რუსეთი მზად არის, შეუჩეროს დახმარება ირანს საერთაშორისო არენაზე ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, თუ თეირანი უკან არ გაიწვევს 4 მილიარდ დოლარიან სარჩელს ჟენევის საარბიტრაჟო სასამართლოდან. ეს სარჩელი ირანმა შეიტანა "როსობორონექსპორტის" წინააღმდეგ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების "ეს-300"ის (C-300) მიწოდების ჩაშლის გამო. რუსული მედია წერს იმასაც, რომ ირანელების მტკიცება მათი მოკრძალებული მოთხოვნების შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ლონდონში ლონდონი დაგვავიწყეს

გიგა გურასაშვილი
<

გიგა გურასაშვილის ფოტო

დაგვავიწყეს ოლიმპიური თამაშები. დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქიაში ლონდონის მაცხოვრის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის მოძღვარმა იღუმენმა დოროთემ (ზაზა ბარბაქაძე) ქართული სათვისტომოსთან ერთად ქართულ დელეგაციას ისეთი დახვედრა მოუწყო, საქართველოში შეშურდებოდათ. ეკლესიის უკანა ეზოში, სახელდახელოდ გაშლილ კარავში, მრევლი ფუსფუსებდა.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6441	
1 ევრო	2.0247	⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5722	⇓
1 თურქული ლირა	0.9203	⇓
100 რუსული რუბლი	5.2226	⇓

თბილისი	35°C - 22°C
ქუთაისი	34°C - 22°C
თელავი	35°C - 19°C
ზუგდიდი	32°C - 22°C
ბათუმი	28°C - 22°C

ნავთობი	3.02	-0.02	-0.70%
გაზი	2.79	-0.15	-5.48%
ოქრო	1,621.60	+3.50	+0.22%
ხორბალი	888.00	-25.00	-2.82%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

"დილას" მეტოქედ "მარიტიმუ" ერგო

"ანორთოსისის" სტუმრად ბრწყინვალედ და ხმაურიანად დამარცხების შემდეგ, გორის "დილას" და ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი დიდი ინტერესით ელოდა გუშინდელ წილისყრას - პლე ოფის დაძლევის შემთხვევაში ხომ ქართლელები ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებენ. სავარაუდო მეტოქეთა შორის ისეთი სახელიანი და ბობოლა გუნდები იყვნენ, "ლივერპული", "ნიუკასლი", "ლაციო" რომ არიან.

მაგრამ ნიონში გამართულმა წილისყრამ "დილას" მეტოქედ პორტუგალიური "მარიტუმუ" არგუნა.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ვერის უბნის თანამედროვე მელოდიები

დღეს ბათუმში ახალი ქართული მიუზიკლის პრემიერაა დაგეგმილი

ია ვეკუა

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა მაყურებელმა და, მასთან ერთად, მსმენელმაც ქართული შოუ-ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილბიუჯეტიანი პროექტი, მიუზიკლი "ქეთო და კოტე" იხილა. დღეს კი მორიგი მსგავსი პროდუქტის ჩვენება იგეგმება - ბათუმის მუსიკისა და ხელოვნების ცენტრში მიუზიკლ "ვერის უბნის მელოდიების" პრემიერა გაიმართება, რომელზე მუშაობის პროცესიც მკაცრად იყო გასაიდუმლოებული, თუმცა შედეგის ნახვას, ცხადია, ვერავინ აგვიკრძალავს.

სხვა საკითხია, მოგვინდება თუ არა მისი ნახვა, რადგან ამ ჟანრის წარმოდგენების მოყვარულთა დიდი ნაწილი ჯერაც ვერ გამოსულა "ქეთო და კოტეს" "შთაბეჭდილებებიდან". უდავოა, არის ხალხი, ვისაც ეს მიუზიკლი მოეწონა, თუმცა ალბათ ძალიან ცოტაა ისეთი, ვინც მისით კომპლექსურად მოიხიბლა, ანუ ქორეოგრაფიითაც, სიმღერითაც, კოსტიუმებითაც და მეშვიდე ბუჩქითაც.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

მიხეილ სააკაშვილი რაჭის მოსახლეობას შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი რაჭის სოფლების - ხვანჭკარას, ხვარცუთისა და ნიკორწმინდის მცხოვრებლებს შეხვდა. მიხეილ სააკაშვილმა ადგილობრივ მოსახლეობას რაჭაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები გააცნო. პრეზიდენტმა მოსახლეობის წინაშე სიტყვით გამოსვლისას იმ სოციალურ პროგრამებზეც ისაუბრა, რომლებიც უახლოეს მომავალში უნდა ამოქმედდეს.

"ჩემთვის დიდი პატივია ხვანჭკარის თემში ჩამოსვლა, რომელშიც რამდენიმე სოფელი შედის. ჩემთვის განსაკუთრებით საყვარელი ხალხი ცხოვრობს რაჭაში, განსაკუთრებით მშრომელი, თბილი, მეგობრული და პატრიოტი. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრს ვფიქრობ იმაზე, როგორ უნდა განვითარდეს აქაურობა. რაჭაში ყველგან ვაკეთებთ გზას, რაჭაში ყველგან მივალთ კარგი გზით. რაჭის ყველა სოფელში ჩვენ გავაკეთებთ წყლის სისტემას, რომ ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნას," - განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, რაჭის ყველა სოფლის გაზიფიკაცია მოხდება და რეგიონში ევროპული სტრანდარტების შესაბამისი სკოლები იქნება. "წელს რთველი უნდა ჩავატაროთ უფრო ორგანიზებულად, ვიდრე როდესმე, რადგან ეს ეროვნული ღირსების საკითხია," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. მან რაჭველებთან მოახლოებული არჩევნების შესახებაც ისაუბრა.

"ოქტომბერი იმისთვის კი არ არის, რომ თავი მოვიწონოთ, პირველ რიგში, იმისთვის არის, რომ თავი დავიცვათ. ღმერთმა არ ქნას წარსულის უკან მობრუნება, რადგან ისინი პირდაპირ გვეუბნებიან - გვინდა წარსულში წასვლა, პირდაპირ გვეუბნებიან, რომ უნდა დავანგრიოთ მარტო შუშის ხიდი კი არა თბილისში, სია არის გრძელი. ახლა გავხსენი იუსტიციის სახლი ახალციხეში. ამ სიაში შემდეგია პარლამენტი. ქუთაისში პარლამენტი უნდა გააუქმონ, ამ სიაში შემდეგია იუსტიციის სახლები, იმიტომ, რომ აღიზიანებთ, რადგან მათი კორუმპირებული ჩინოვნიკებისთვის იუსტიციის სახლი პრობლემაა, იმიტომ, რომ როგორც კი კორუფცია დაბრუნდება მთავრობაში, კორუფცია დაბრუნდება პოლიციაში, კორუფცია დაბრუნდება ყველა სამსახურში, საავადმყოფოებში," - განაცხადა სააკაშვილმა.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია - **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ თევზაძის შვილი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გელა თევზაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პატიმართა რაოდენობა პენიტენციურ სისტემაში

2012 წლის 1 ივლისის მდგომარეობით სასჯელაღსრულების სისტემაში 23 406 პატიმარია, რაც წინა წელთან შედარებით 710 პატიმრით ნაკლებია.

სასჯელაღსრულების სამინისტროს განცხადებით, საქართველოში საზოგადოებრივი უსაფრთხოების შენარჩუნების გათვალისწინებით, უკანასკნელ პერიოდში ხორციელდება სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რაც, თავის მხრივ, თავისუფლებააღკვეთილ პირთა კლებას იწვევს.

გარდა ამისა, სასჯელაღსრულების სამინისტროს ცნობით, აქტიურად ხდება თავისუფლების აღკვეთის ისეთი ალტერნატიული საშუალებების გამოყენება, როგორიცაა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, პრობაცია, პასუხისმგებლობისაგან განრიდების მექანიზმი.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სტატისტიკური მონაცემებით, 2010 წელს საქართველოში 23 ათას 684 პატიმარი იყო, 2011 წელს 24 ათას 114, მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემებით კი, საპატიმროში 23 ათას 406 პატიმარი გახლდათ.

აქედან, ივნისის თვის მდგომარეობით, საქართველოში მსჯავრდებული იყო 22 ათას 209 ადამიანი, შარშან იგივე პერიოდში კი - იყო 22 ათას 563 პირი.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, 2012 წლის იანვრის თვიდან მსჯავრდებულთა რაოდენობის კლებაც შეინიშნება. თუ იანვრის თვეში ციხეებში 22 ათას 615 გასამართლებული პირი იყო, ივნისის თვის მონაცემებით, საპატიმროებში სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს იხდის 22 ათას 209 პირი.

23 ათას 406 პატიმრიდან ბრალდებულია 1300 პირი, რომლებისთვისაც სასამართლოს ჯერ არ გამოუტანია განაჩენი.

საპატიმროებიდან პირობით ვადაზე 2010 წელს გაათავისუფლეს 242 პირი, 2011 წელს - 445, 2012 წლის 6 თვეში - 140 მსჯავრდებული.

2011 წელს პრეზიდენტმა შეიწყალა 1299 პირი, 2011 წელს - 787, 2012 წლის 6 თვეში - 499 პატიმარი.

2010 წელს სასჯელი გადაუვადდა 29 პატიმარს, 2011 წელს - 60, 2012 წელს 6 თვეში - 70-ს.

2011 წლის 6 თვეში სასამართლოებში შევიდა 7218 საქმე, 2012 წლის იგივე პერიოდში საქმეთა რაოდენობამ მხოლოდ 5907 შეადგინა.

შესაბამისად, 2012 წლის 6 თვეში, 2011 წლის 6 თვესთან შედარებით, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა შემცირდა 2692 პირით, ანუ 27,9 პროცენტით. თუ შარშან 6 თვეში 9667 მსჯავრდებული იყო, წელს ანალოგიურ პერიოდში 6971 მსჯავრდებულია.

სისხლის სამართლის საქმეთა სტატისტიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ საქმეთა განხილვის შედეგად, მოსამართლეები უმეტესად არასაპატიმრო სასჯელებს იყენებენ. 2012 წლის 6 თვეში მსჯავრდებული 6971 პირიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 2953 პირს, პირობითი მსჯავრი - 3299 პირს, ჯარიმა - 413-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - 304 პირს.

ომბუდსმენის რეკომენდაცია საგამოძიებო სამსახურის უფროსს

სახალხო დამცველმა გამომძიებელ თენგიზ მაისურაძის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების რეკომენდაციით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსს მიმართა.

როგორც სახალხო დამცველის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ომბუდსმენს განცხადებით მიმართა ბრალდებულ მელიქ რაისიანის ადვოკატმა.

"წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელ თენგიზ მაისურაძის მიერ შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს მელიქ რაისიანისა და მისი ადვოკატის თეიმურაზ კუტივაძის ბრალდების მხარისგან მტკიცებულებათა შესახებ ინფორმაციის მიღების კანონიერი უფლების დარღვევას," - აცხადებს ომბუდსმენი.

სახალხო დამცველის განცხადებით, ადვოკატი კუტივაძე ბრალდებულ მელიქ რაისიანის ინტერესებს იცავს 2012 წლის 28 მაისიდან. საქმეზე გამოძიებას აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველო. განმცხადებლის განმარტებით, საქმეს იძიებს ფინანსური პოლიციის გამომძიებელი თენგიზ მაისურაძე.

"2012 წლის 27 მაისს რაისიანს დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება. ვინაიდან რაისიანი თავს არიდებდა საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, ბრალდების შესახებ დადგენილება გადაეცა სავალდებულო წესით დანიშნულ ადვოკატს. დაცვის მხარეს გადაეცა იმ დროისთვის ბრალდების მხარესთან არსებული სრული ინფორმაცია და შესაძლო მტკიცებულებების ასლები. 28 მაისს საქმეში ჩაერთო ადვოკატი კუტივაძე, რომელმაც 29 მაისს წერილობით მიმართა გამომძიებელ მაისურაძეს ბრალდებულ რაისიანის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა ასლების გადაცემის მოთხოვნით. ადვოკატ კუტივაძეს გადაეცა ინფორმაცია და ასლები მხოლოდ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მოპოვებულ იქნა ბრალდების მხარის მიერ სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატისათვის მასალების გადაცემის შემდგომ პერიოდში. ბრალდებულ რაისიანის ადვოკატის მოთხოვნა მიზნად ისახავდა მისი კლიენტის ბრალეულობის შესახებ სრული ინფორმაციის მიღებას და რაისიანის ინტერესების დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, რისი საშუალებაც მას საქმის მწარმოებელმა გამომძიებელმა არ მისცა," - ნათქვამია სახალხო დამცველის რეკომენდაციაში.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქმის მწარმოებელმა გამომძიებელმა დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, რადგან კანონის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს.

"ასევე, აღსანიშნავია, რომ კანონი ითვალისწინებს იმ მომენტისთვის არსებული მასალის სრული მოცულობით გადაცემის ვალდებულებას," - აცხადებს სახალხო დამცველი და გამომძიებლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას ითხოვს.

აუთვისებელი ტურისტული ზონები

ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრი საქართველოს აუთვისებელი ტურისტული ზონების პოპულარიზაციას იწყებს. ტურიზმის გეოგრაფიული ცენტრის დამფუძნებლის, კოტე აბულაძის განცხადებით, ერთ-ერთი ასეთი ქარელის რაიონში მდებარე ბატეთის ტბაა, რომლის შესახებ მოსახლეობის დიდ ნაწილს ინფორმაციაც კი არ გააჩნია. მისი თქმით, ტურისტულ ზონამდე 3-4 კილომეტრი საფეხმავლო გზაა და მისი ტურისტული მარშრუტის ღირებულება უკვე რამდენიმე დღეში იქნება დადგენილი.

ტურიზმის გეოინფორმაციულ ცენტრში აღნიშნავენ, რომ ბატეთის ტბას ბევრი განსხვავებული ღირსშესანიშნაობა აქვს. თუნდაც ის, რომ ეს ერთადერთი ადგილია საქართველოში, სადაც ტურისტებს ამობრუნებული ცისარტყელის ნახვა შეუძლიათ. ამასთან, როგორც ცენტრის დამფუძნებელი აცხადებს, ცენტრი სხვა ტურისტულ მარშრუტებსაც აპროექტებს და როგორც ქართველ, ისე უცხოელ ტურისტებს გეოინფორმაციული ციფრული რუკის ინტერნეტში ინტეგრაციასაც სთავაზობს.

კოტე აბულაძის განცხადებით, "ციფრული რუკა, რომელიც "გუგლის" ტექნოლოგიების მიხედვით შეიქმნა, უცხოელ ტურისტებს საშუალებას მისცემს, ადგილობრივი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ნაცვლად, ინფორმაცია საქართველოს ტურისტული მარშრუტების შესახებ თავიანთ ქვეყნებში, სახლიდან გაუსვლელად მოიპოვონ." მისივე თქმით, ახლო მომავალში ტურისტებისთვის სხვა ახალი, აქამდე უცნობი ტურისტული მარშრუტების შეთავაზებასაც გეგმავენ.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრი ტურიზმისა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის, შიდა ტურიზმის პოპულარიზაციისა და საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის იმიჯის, ამაღლების მიზნით დაფუძნდა. ცენტრი ამჟამად იკვლევს საქართველოს უნიკალურ ბუნების ძეგლებს, აპროექტებს ახალ ტურისტულ მარშრუტებს, ქმნის ტურისტულ ეროვნულ გეოინფორმაციულ სისტემას და ახდენს გეოინფორმაციული ციფრული რუკის ინტერნეტში ინტეგრაციას.

საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური სამკურნალო წყლის წყარო, ისტორიისა და არქიტექტურის 12000 ძეგლი, მათგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში, 7 არსებული და პერსპექტიული ეროვნული პარკი და ა.შ. სპეციალისტების აზრით, არსებული პოტენციალის გათვალისწინებით, ტურიზმის სახეობების მიხედვით საქართველოში პერსპექტიული იქნება ტურიზმის ისეთი სახეების განვითარება, როგორიცაა: კულტურული, სამკურნალო, საკურორტო, ეკო და სხვა. ზოგადად, ქართველი ტუროპერატორები საქართველოში სამოგზაუროდ 14 სხვადასხვა შინაარსის ტურს აწარმოებენ, ე.ი. საქართველოს ტურისტული ბაზარი 14 სამოგზაურო ნიშად შეიძლება დაიყოს, თუმცა კვლევა ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს, რომ მოთხოვნები უმთავრესად კულტურულ ტურიზმზე მოდის და ფირმების 100 პროცენტი, ძირითადად, ამ სეგმენტზე მუშაობს.

ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრის ექსპერტის ზაზა გაგუას თქმით, საქართველოში ტურისტულ მარშრუტებს "წითელ წიგნში" შესული ძეგლები უნდა დაემატოს. მისი თქმით, 1982 წელს გამოცემულ "წითელ წიგნში" შეტანილია ბუნების 77 ძეგლი, დღეს მათგან 59 საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა, დანარჩენი კი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დარჩა. ამათგან, რამდენიმე წმინდად სამეცნიერო ღირებულებისაა, 40 ძეგლს კი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. "წითელ წიგნში ბუნების იშვიათობებია შეტანილი, რომლებიც საკუთარი უნიკალურობით გამოირჩევიან. ეს უნიკალურობა განისაზღვრება როგორც საქართველოს, ისე კავკასიისა და მსოფლიო მასშტაბით. მაგალითად, მეტეხის კლდე მსოფლიო მასშტაბის უნიკალური ძეგლია. ზაზა გაგუას თქმით, დიდი ტურისტული ღირებულება გააჩნია ბატეთის ტბასა და მარტვილის ჩანჩქერებსაც. ბატეთის ტბა შიდა ქართლში, ქარელის რაიონში მდებარეობს და რიწის ტბის პატარა ანალოგია. მის გარშემო 20 მონასტერი მდებარეობს, რაც მის ტურისტულ რესურსს კიდევ უფრო ზრდის. ასევე უნიკალურია მარტვილის სამი ჩანჩქერი, რომლებიც ერთმანეთისგან 5 კილომეტრით არის დაშორებული. "სამწუხაროდ, ამგვარი ძეგლების არსებობის შესახებ ხშირად ადგილობრივებმაც კი არ იციან, არადა, მართლაც უნიკალური ძეგლებია და მათი ტურისტული პოტენციალის გამოყენება მეტად მნიშვნელოვანია. ამ მიზნით, ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრმა დაიწყო მუშაობა პროექტზე - საქართველოს ბუნების უნიკალური ძეგლები. პროექტი ამ ძეგლების აღნუსხვას, თითოეულის კოორდინატისა და ადგილმდებარეობის დადგენას და მათ ტურისტულ ნუსხაში ჩართვას ითვალისწინებს."

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

საქართველოს ტელემაუწყებლობის ანალიზი

სალომე გოგოხია

პოლიტიზებული მედიაგარემო, ტელევიზიების შემოსავლების ფინანსური გამჭვირვალობა, სატელიტური თეფშების დაყადაღება, must carry/ must offer-ის შემოღება და მედიისადმი ხალხის ნდობა - ეს იმ კვლევის შედეგების ძირითადი ჩამონათვალია, რომელიც "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" წინასაარჩევნო პერიოდში ჩაატარა.

კვლევა - საქართველოს ტელემაუწყებლობის ანალიზი - ოთხი თვის მანძილზე გრძელდებოდა. ანგარიშის თანახმად, წინასაარჩევნო პერიოდში მედია განსაკუთრებით პოლიტიზებულია. შედეგად, მთავრობა თუ ოპოზიცია, ორივე მხარე ცდილობს, საკუთარი გავლენის ქვეშ ჰყავდეს ყველა ძირითადი არხი, რომლებიც მიმდინარე მოვლენებს აშუქებენ.

პარალელურად, ანგარიშში საუბარია პოზიტიურ ცვლილებებზეც, რომლებიც ეხება წინასაარჩევნოდ must carry/ must offer-ის შემოღებას, რამაც გაანეიტრალა გათიშულობის გარემო - საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს საშუალება ეძლევა, იმ ტელეარხებიდან მიიღოს ინფორმაცია, რომლებსაც ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ.

ასევე, დასკვნაში საუბარია ტელევიზიების ფინანსური შემოსავლების გამჭვირვალობასა და მფლობელების ვინაობაზე. მაუწყებლობის შესახებ კანონის ცვლილებებმა, რომლებითაც ლიცენზიის მფლობელებს ბენეფიციარი მფლობელის შესახებ ინფორმაციის გამჟღვანება მოეთხოვათ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ტელევიზიის მფლობელობის გამჭვირვალობა.

ასევე, კვლევის ორგანიზატორები ხელისუფლებას აჭარის ტელევიზიის სტატუსის განსაზღვრისკენ მოუწოდებენ. ამის შესახებ ხელისუფლებას გადაწყვეტილება ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში უნდა მიეღო.

მედიისადმი ხალხის ნდობა ბოლო წლებში უმნიშვნელოდ შემცირდა. გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა ტელეარხებს პრო-სამთავრობო ან ოპოზიციის მხარდამჭერებად აღიქვამს.

ასევე, ანგარიშში ჟურნალისტებისთვის პროფესიული საქმიანობის ხელშეშლაზეა საუბარი - ორგანიზაციას სტუდია "მონიტორის" გაქურდვისა და სააგენტო "ინფო 9"-ის და მე-9 არხის ჟურნალისტებისთვის მუშაობის პროცესში ხელშეშლის ფაქტები მოჰყავს. "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ხელისუფლებას მსგავსი ინციდენტების დაუყოვნებლივ გამოძიებისკენ მოუწოდებს.

ორგანიზაცია ხელისუფლებას მიმართავს რეკომენდაციებით, უზრუნველყოს სამართლიანი და გამჭვირვალე გამოძიება მედიასასაშუალებებისა და ასევე იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც მედიასაშუალებებსა და მედიამომხმარებლებს შორის შუამავლის როლს ასრულებენ.

ასევე, მთავრობამ და ახალმა პარლამენტმა, რომელსაც 2012 წლის ოქტომბერში აირჩევენ, პრიორიტეტად უნდა მიიჩნიოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიის შემუშავება და სამოქმედო გეგმის გამოქვეყნება.

თავის მხრივ, ტელეარხებმა და მათმა ხელმძღვანელობამ, მედიის მუშაკებმა, მიზნად უნდა დაისახონ თავიანთი აუდიტორიისთვის მიმდინარე მოვლენების სამართლიანად, პროფესიონალურად და მიუკერძოებლად გაშუქება არჩევნების წინა პერიოდში.

კახი კალაძის ქონებას ყადაღა დაედო

პირველი გვერდიდან

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ბიძინა ივანიშვილსა და კახი კალაძეს საკუთარ ანგარიშებზე თანხის დაბრუნების წინადადებით 7 აგვისტოს მიმართა. მოთხოვნის ვადა კახი კალაძეს გუშინ, ბიძინა ივანიშვილს კი, დღეს ამოეწურათ.

"2012 წლის განმავლობაში გაცხადებული პოლიტიკური და საარჩევნო მიზნების მქონე პირებმა ბიძინა ივანიშვილმა და კახი კალაძემ კუთვნილი საბანკო ანგარიშებიდან დანიშნულების მითითების გარეშე სოლიდური თანხები გაიტანეს. ბიძინა ივანიშვილმა გაანაღდა 5 522 135 ლარი, ხოლო კახი კალაძემ 3 388 992 ლარი. ორივე ფიზიკურ პირს მიეცა წინადადება, დანიშნულების გარეშე, ნაღდი ფულის სახით გატანილი სოლიდური თანხები დააბრუნონ საკუთარ პირად ანგარიშებზე," - ნათქვამია აუდიტის სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

კახი კალაძის ადვოკატი შალვა თადუმაძე მოსამართლის გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევს. მისი თქმით, აუდიტის სამსახურმა ვერ წარმოადგინა ვერც ერთი მტკიცებულება იმის დამადასტურებლად, რომ კალაძემ ანგარიშიდან გატანილი ფულით რაიმე სახით შემოწირულობა განახორციელა. თადუმაძის თქმით, კალაძემ თავისი ანგარიშიდან გაიტანა მხოლოდ 214 ათასი ლარი, დანარჩენი თანხა კი, კახი კალაძის მამამ პირადი საჭიროებისთვის მოიხმარა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ადვოკატი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

"ქართული ოცნების" ადვოკატი სანდრო ბარამიძე არ გამორიცხავს, რომ კახი კალაძის მსგავსად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ბიძინა ივანიშვილის უძრავ-მოძრავი ქონების დაყადაღებაც მოითხოვოს. ბიძინა ივანიშვილს თანხის დაბრუნების ვადა გუშინ ღამის 12 საათზე ამოეწურა.

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" შეფასებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნა გასულია კანონის ჩარჩოდან. საია-ს თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილი აცხადებს, რომ კანონმდებლობა აუდიტის სამსახურს შესაბამის უფლებამოსილებას არ აძლევს.

"როცა ცნობილი გახდა, რომ აუდიტის სამსახური კალაძეს პირად ანგარიშებზე თანხის დაბრუნებას სთხოვდა, მაშინვე ვთქვით, რომ ეს იყო აბსოლუტურად უკანონო მოთხოვნა, რადგან კანონმდებლობა ასეთ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ამ მოთხოვნის შეუსრულებლობაზე ჯარიმის დაკისრების და დამატებით სხვა სახის სანქციის გამოყენების მოთხოვნაც უკანონოა. კანონმდებლობა აუდიტის სამსახურს არ აძლევს უფლებამოსილებას, ჯერ პირს ანგარიშზე თანხის უკან დაბრუნება მოსთხოვოს და შემდეგ ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო მის წინააღმდეგ ხუთმაგი ოდენობის ჯარიმა მოითხოვოს. ეს ყველაფერი აბსოლუტურად გასულია კანონის ჩარჩოდან," - აცხადებს თამარ ჩუგოშვილი.

სასამართლომ უკანონო შემომწირველები დააჯარიმა

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, "ქართული ოცნებაში" უკანონო შემოწირულობის განხორციელებისთვის 16 პირი გადარიცხული თანხის ხუთმაგი ოდენობით დაჯარიმდება.

სასამართლოს გადაწყვეტილებით ჯარიმა დაეკისრა "ქართუ ბანკის" 8 თანამშრომელს, მათ შორის - ბანკის პრეზიდენტ ნოდარ ჯავახიშვილსაც. დანარჩენი 8 დაჯარიმებული კი კოალიცია "ქართულ ოცნების" წარმომადგენლები არიან.

დაჯარიმდნენ გოჩა ბარამიძე, გოჩა ჩიკვილაძე, დავით კაჭახიძე, ვიქტორ ჯაფარიძე, ნატო კოპლატაძე, მაგდა მუშკუდიანი, ნინო უძლიაური, თეონა ჯახუტაშვილი, ინგა ჯავახია, დავით დარჩია, დავით მათიკაშვილი, ნოდარ ჯავახიშვილი, ირაკლი ბერაია, ნატო ხაინდრავა, ია გამცემლიძე და დავით გალუაშვილი.

მათ მიერ კოალიციისთვის შეწირული თანხა 100 ლარიდან 25 ათას ლარამდე მერყეობს.

პროცესები სამ დარბაზში მიმდინარეობდა და უძღვებოდნენ მოსამართლეები - ნათია ჯორბენაძე, თამარ ონიანი და თეა თადაშვილი.

სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ "ქართუ ბანკის" წარმომადგენლების ადვოკატმა ირმა ჭკადუამ განაცხადა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო იყო. მისი თქმით, პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლეებმა "ქართული ოცნების" შემომწირველების თითქმის არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

დაჯარიმებულ შემომწირველთა განცხადებით, არც ერთი მათგანი არ აპირებს დაკისრებული თანხის გადახდას. პროცესს ესწრებოდა "ქართუ ბანკის" პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ ის დაკისრებული ჯარიმის გადახდას არ აპირებს და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდება.

საგარეო უწყებამ განცხადება გაავრცელა

ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის ვიზიტის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა. საგარეო უწყებაში მიიჩნევენ, რომ ეს მოქმედება საქართველოს კანონმდებლობისა და კერძოდ, "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის" დარღვევით განხორციელდა. საგარეო საქმეთა სამინისტროსში აცხადებენ, რომ რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტის კონტექსტი და ტონალობა საქართველოსაგან ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოჩვენებითი "დამოუკიდებლობის" არგუმენტის გამყარებას ემსახურება.

"იმდროინდელი პრეზიდენტის მედვედევის გადაწყვეტილება ორი ქართული რეგიონის - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის აღიარების შესახებ, წარმოადგენდა 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ურცხვი სამხედრო აგრესიის პოლიტიკურად შენიღბვის განწირულ მცდელობას. რუსეთი, ფაქტობრივად, იზოლირებულია ამ გადაწყვეტილებაში. მისმა ძალისხმევამ, მოესყიდა საერთაშორისო თანამეგობრობა დაშინებისა თუ წახალისების გზით, მნიშვნელოვანი შედეგები ვერ გამოიღო. შესაბამისად, მედვედევის ცხინვალში ვიზიტი რუსეთის შიგნითვე და, გარკვეულწილად, საერთაშორისო არენაზე მისი პრესტიჟის შენარჩუნებას ემსახურება," - აღნიშნულია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.

საგარეო უწყების განცხადების მიხედვით, კრემლი უნდა აცნობიერებდეს, რომ საერთაშორისო პოზიცია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის მიმართ ურყევია, ხოლო საქართველო ვითარდება და ისეთი მომავლისკენ ისწრაფვის, რომელშიც საოკუპაციო ძალების ადგილი არ იქნება.

რეაგირება პუტინის აღიარებაზე

აგვისტოს ომის შესახებ ვლადიმირ პუტინის განცხადებამ ოფიციალური თბილისის სრული ისტერიკა გამოიწვია, - ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ბეჭდვის დეპარტამენტის განცხადებაშია ნათქვამი.

"საქართველოს ხელისუფლების ასეთი რეაქცია კიდევ ერთხელ ნათლად ცხადყოფს, რომ ისინი ვერ შეეგუენ 2008 წლის აგვისტოს დანაშაულებრივი ავანტიურის ჩაშლას და აგრძელებენ რევანშისტული გეგმების შემუშავებას მრავალტანჯული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის წინააღმდეგ. თუმცა ამ გეგმების ახდენა შეუძლებელია და უმჯობესი იქნება, თუ რევანშისტები დამშვიდდებიან," - ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების განცხადებაში.

გუშინვე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგი კაპანაძემ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს ინფორმაცია მიაწოდა პუტინის განცხადების შესახებ. კაპანაძის თქმით, სამხედრო ოპერაცია 2008 წლის ომამდე კარგა ხნით ადრე იგეგმებოდა და პუტინის გუშინწინდელი განცხადება ამის პირველი ოფიციალური აღიარება იყო.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თქმით, დიპლომატიურ კორპუსს მიაწოდეს ინფორმაცია პუტინის იმ განცხადების შესახებაც, რომლის მიხედვითაც, 2008 წლის ომამდე რუსეთი ოსური არალეგალური შენაერთების წვრთნასა და აღჭურვას ახორციელებდა.

"ეს იყო პირდაპირი დარღვევა ყველა იმ ვალდებულებისა, რომლებიც რუსულ მხარეს იმ დროს გააჩნდა როგორც საერთაშორისო და მრავალმხრივ ფორმატში, ისე ორმხრივ ფორმატში საქართველოსთან," - განაცხადა სერგი კაპანაძემ.

მერაბიშვილი შიდა ქართლ ეწვია

საქართველოს პრემიერი-მინისტრი შიდა ქართლში ჩქაროსნული მაგისტრალის ახალი მონაკვეთის მშენებლობის დაწყებას დაესწრო. 29-კილომეტრიანი მონაკვეთი რუისს აგარასთან დააკავშირებს.

როგორც ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, ძალიან კმაყოფილი დარჩა, როდესაც შეიტყო, რომ ამ მონაკვეთზე 1500 ადამიანი დასაქმდება. პრემიერის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებულთა დიდი ნაწილი ადგილობრივი მცხოვრებია.

"1500 ოჯახში შევა სიკეთე, 1500 ოჯახი მიიღებს სარგებელს. მაგრამ ჩვენ ამ გზის მშენებლობით სიკეთეს შევიტანთ არა მარტო ამ 1500 ოჯახში, არამედ სარგებელს მოვუტანთ საქართველოს მილიონობით მოქალაქეს. ჩვენ ვაგრძელებთ მაღალი ხარისხის ავტომაგისტრალის მშენებლობას. ხელშეკრულებით ამ გზის გარანტია 32 წელია. 32 წელი არ დასჭირდება ამ გზას სერიოზული შეკეთება და იმუშავებს მაღალი ხარისხით," - განაცხადა პრემიერმა.

პრემიერთან ერთად, შიდა ქართლში იმყოფებოდნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი და საქართველოში ჩინეთის ელჩი. მერაბიშვილის განმარტებით, ამ მონაკვეთზე ტენდერში ჩინურმა კომპანიამ გაიმარჯვა, თუმცა არსებობს შეთანხმება, რომ დასაქმებულთა 90 პროცენტი საქართველოს მოქალაქე იყოს.

"ლეიბორისტები" ედუარდ შევარდნაძის დასჯას ითხოვენ

"ლეიბორისტები" ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დასჯას ითხოვენ. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე "ლეიბორისტული პარტიის" აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, პარტიაში შექმნილია ედუარდ შევარდნაძის დანაშაულებრივი საქმიანობის შემსწავლელი კომისია, რომელსაც არაერთი დაზარალებული ადამიანი მიმართავს. ჯიბლაძის ინფორმაციით, სს. "ელმავალმშენებელი ქარხნის" მუშა-მოსამსახურეთა სახელით პარტიას დახმარებისთვის პიროვნებამ მიმართა და 2002 წელს საწარმოს უკანონო გაყიდვის შესახებ დოკუმენტაცია მიაწოდა.

"2002 წლის 11 მაისის დადგენილებით, ედუარდ შევარდნაძემ 150 ათას დოლარად "ელმავალმშენებელი ქარხნის" 75 პროცენტი მიჰყიდა ზურაბ ცინცაძეს. 2600 მუშა-მოსამსახურეს კი მხოლოდ 0.2 პროცენტი არგუნეს. 150 ათას დოლარზე მეტი ღირს საწარმო და მისი რეალური ღირებულება ნახევარი მილიარდი დოლარია. ჩვენ აღნიშნული ფაქტის გამო სისხლის სამართლის აღძვრასა და მუშა-მოსამსახურეებზე წლების განმავლობაში დაგროვილი დივიდენდების, 25 ათასი დოლარის გადაცემას ვითხოვთ," - განაცხადა პაატა ჯიბლაძემ.

ფილიპინებზე წყალდიდობის მსხვერპლი იზრდება

წყალდიდობის გამო მანილაში და მის შემოგარენში, სულ ცოტა, 60 კაცია დაღუპული და კიდევ 7 უკვალოდ დაკარგულად მიიჩნევა. სეზონური კოკისპირული წვიმებით გამოწვეულმა სტიქიამ ყველაზე მეტად სწორედ 12-მილიონიანი მეგაპოლისი და მისი მიმდებარე ტერიტორია დააზარალა. ორ დღეში იქ ნალექის თვიურ ნორმაზე მეტი მოვიდა. დატბორილია დედაქალაქის ნახევარზე მეტი. მაშველებს ხალხის აყვანა პირდაპირ ქუჩებიდან უწევდათ, სადაც ამ უკანასკნელებს წყალი ყელამდე წვდებოდათ. დაზარალებულად მიიჩნევა 2,1 მილიონი ადამიანი, ევაკუირებულია 315 ათასი. მთლიანად დანგრეულია 366 სახლი, დაზიანებულია 2750 შენობა. 129 ქუჩა და 5 ხიდი ჯერ კიდევ გამოუსადეგარია ავტოტრანსპორტის მოძრაობისთვის.

საევაკუაციო ცენტრები ხალხის ნაკადს ვერ აუდის. სოციალური უზრუნველყოფის და განვითარების მინისტრმა, ქალბატონმა კორასონ სოლიმანმა განაცხადა, რომ ქვეყანა საჭიროებს დახმარებას და მეტ მოხალისეებს კრიზისთან საბრძოლველად. საკვების პრობლემა ფილიპინებზე არ არის, მაგრამ საჭიროა მისი დაფასოება, ადგილზე მიტანა და განაწილება. მინისტრის სიტყვებით, მათ სჭირდებათ წამლები, პლედები და, რაც მთავარია, მშრალი ტანსაცმელი.

ამინდი სურსათზე ფასებს ზრდის

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, ივლისში მსოფლიო ბაზრებზე სურსათზე ფასებმა მკვეთრად მოიმატა. ამის მიზეზად სახელდება უდროო დროს დაწყებული წვიმები ბრაზილიაში, უძლიერესი გვალვა შეერთებულ შტატებში და სამრეწველო პრობლემები რუსეთში. ფასებზე გავლენა იქონიეს, აგრეთვე, ინდონეზიაში მონსუნის წვიმების დაგვიანებით დაწყებამ და გვალვამ ავსტრალიაში. არის 2007-2008 წლების სასურსათო კრიზისის გამეორების შანსი. ეს რომ არ მოხდეს, ქვეყნებმა სურსათის ექსპორტი არ უნდა აკრძალონ. როგორც წესი, "FAO" არ აქვეყნებს ფასების ყოველთვიურ ინდექსს, თუმცა ამ გართულებულ სიტუაციაში მათ ივლისის მონაცემების გამოქვეყნება გადაწყვიტეს. მარცვლეულზე ფასებმა მოიმატა 17 პროცენტით, შაქარზე - 12 პროცენტით. გვალვის გამო სიმინდის მოსავალი შეერთებულ შტატებში მინიმალური იქნება. ივლისში სიმინდზე ფასმა 33 პროცენტით მოიმატა. ბრინჯზე და რძის პროდუქტებზე ფასები არ შეცვლილა, ხოლო ხორცზე დაიკლო 1,7 პროცენტით, ღორის ხორცის ჭარბწარმოების გამო.

ამ ფონზე სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ აშშ-ს თხოვნით მიმართა, შეაჩეროს ეთანოლის, როგორც ბიოსაწვავის ეტალონის, გამოშვება. ამერიკული კანონით, მოსავლის 40 პროცენტი ბიოლოგიური საწვავის წარმოებას უნდა მოხმარდეს. მაგრამ ასეთი გვალვის პირობებში ამ პროგრამის განხორციელება, გაეროს აზრით, სასურსათო კრიზისს გამოიწვევს.

იაპონიამ სამხრეთ კორეიდან ელჩი გაიწვია

ოფიციალურმა ტოკიომ კონსულტაციებისთვის ელჩი გაიწვია სეულიდან, მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნის პრეზიდენტი ლი მენ ბაკი ორ სახელმწიფოს შორის სადავო კუნძულებზე მოულოდნელი ვიზიტით ჩავიდა. პრემიერ-მინისტრმა იოსიხიკო ნოდამ ამ ვიზიტს "მიუღებელი" უწოდა. ამ კუნძულებს იაპონელები ტაკესიმას უწოდებენ, კორეელები - ტოკტოს (სხვა ტრანკრიპციით, დოკ-დოს). ტოკტოს კუნძულებს სამხრეთ კორეა 1953 წლიდან აკონტროლებს. კუნძულების აკვატორია მდიდარია თევზით, ამას გარდა, არის აზრი, რომ იქ შეიძლება იყოს ბუნებრივი აირის საბადოც. გუშინ, დილით, ვიზიტის წინ, იაპონიამ სამხრეთ კორეის პრეზიდენტს თხოვნით მიმართა, არ ჩასულიყო სადავო კუნძულებზე.

ლიბიის ეროვნულმა ასამბლეამ სპიკერი აირჩია

ეროვნული ასამბლეის სპიკერი გახდა ოპოზიციის ყოფილი ლიდერი მუჰამედ მაღარიფი. ის იყო მუამარ კადაფის შეურიგებელი მოწინააღმდგე. დღეიდან მუჰამედ მაღარიფი ერთი წლით ქვეყნის ფაქტობრივი მეთაურია. გაისად ახალი კონსტიტუცია უნდა მიიღონ და საპარლამენტო არჩევნები ჩაატარონ.

ურუგვაის პრეზიდენტი მარიხუანის წარმოების მომხრეა

ურუგვაის მთავრობამ პარლამენტში განსახილველად შეიტანა კანონპროექტი, რომელიც სახელმწიფოს უფლებას მისცემს, მოიყვანოს და გაყიდოს მარიხუანა. კანონპროექტს მხარს უჭერს ურუგვაის პრეზიდენტი. მისი აზრით, ნარკობიზნესის სახელმწიფოს ხელში გადასვლა მკვეთრად შეამცირებს იმ დანაშაულს, რომელიც გამოწვეულია ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვით. მარიხუანის მოხმარება ურუგვაიში დღესაც დაშვებულია, ახალი კანონპროექტი მის წარმოებასა და გაყიდვას დაარეგულირებს. მთავრობის შეფასებით, შიდა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა დაახლოებით 27 ტონა კანაფის მოყვანა.

მაროდიორებმა დარფურელი ლტოლვილების ბანაკი დაარბიეს

სუდანის რეგიონი დარფური, კონფლიქტისა და შიმშილის გამო, უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება. საკუთარი რეგიონიდან გაქცეული დარფურელები ბანაკებში ცხოვრობენ, მათ შორის იყო ბანაკი "კასაბი" ქალაქ კუტუმთან. ამ ბანაკს მაროდიორები დაესხნენ თავს, რის შედეგადაც 8 კაცი დაიღუპა. ბანაკის მთელი დანარჩენი "მოსახლეობა" იძულებული გახდა, გაქცეულიყო და თავი ან ნათესავებთან შეეფარებინა, ან უფრო მშვიდი რეგიონებისთვის. მაროდიორებმა დაიტაცეს ხუთი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ბანაკში ჩატანილი ჰუმანიტარული დახმარება. გადარჩენილი ტვირთი მეზობელ ქალაქ ელფაშერში გადაიტანეს.

მოამზადა ივა შილაკაძემ

რუსეთი ირანს პოლიტიკური მხარდაჭერის შეწყვეტით ემუქრება

პირველი გვერდიდან

ანონიმი წყარო რუსეთის მთავრობაში ირანელებს "უმადურებს" უწოდებს, რადგან ისინი არ აფასებენ ირანის ბირთვული ამბიციების თანმიმდევრულ დაცვას მოსკოვის მიერ საერთაშორისო არენაზე. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ სარჩელის შეტანის "ულამაზო" ისტორიისა და მის უკან გამოწვევაზე უარის თქმის გამო მოსკოვი პოზიციას გაამკაცრებს და დავას სასამართლოდან პოლიტიკურ სივრცეში გადაიტანს.

"ექვსეულის" (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი, გერმანია) და ირანის მორიგ შეხვედრამდე, რომელიც აგვისტოს ბოლოს არის დანიშნული, მოსკოვი პრობლემის მოგვარებას შეეცდება. ამისთვის თეირანში სამთავრობო დელეგაცია გაიგზავნება. თუ სარჩელს უკან არ გამოიწვევს, ირანი "საერთაშორისო არენაზე ბირთვულ საკითხებზე მოლაპარაკებებს მარტო გააგრძელებს," - აცხადებს რუსეთის მთავრობის ანონიმი წარმომადგენელი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმაც (ვინაობის გამოქვეყნება არც მან ისურვა) დაადასტურა, რომ დიპლომატებს მიღებული აქვთ მითითება, ირანელებთან მოლაპარაკებების დროს ამ მიდგომით იხელმძღვანელონ. მიუხედავად ამისა, რუსები იმედოვნებენ, რომ ირანელებთან "შინაურულად" და სასამართლოს გარეშე მოილაპარაკებენ.

მოსკოვი დღემდე ირანის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების შემოღების წინააღმდეგ გამოდიოდა. მათი აზრით, ირანის "ბირთვული პრობლემა" მოლაპარაკებების გზით უნდა გადაწყვეტილიყო. თუმცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა მოლაპარაკებების მოსკოვის რაუნდის შემდეგ (ის "ტრადიციულად" უშედეგოდ დამთავრდა), ღიად განაცხადეს, რომ პრობლემის დიპლომატიური გზით გადაწყვეტის შანსები აღარ ჩანს. თუ მოლაპარაკებები რუსეთის მიდგომის ასეთი ცვლილების შემდეგ საბოლოოდ შეწყდება, ეს უკვე ნათელს გახდის, რომ გამართლებულია ისრაელის პოზიცია ირანზე დარტყმის აუცილებლობის შესახებ.

ექსპერტების აზრით, ირანი რთულ მდგომარეობაშია, მათ შორის, ფინანსურად. ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას კარგად ესმის, თუ რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს რუსეთთან დაპირისპირებამ, მაგრამ მაინც აქვთ სარჩელის საფუძველზე მნიშვნელოვანი თანხის მიღების იმედი. ცოტა ხნის წინ ირანის ელჩმა რუსეთში საიედ მაჰმუდ რეზა საჯადმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა რუსეთისგან მხოლოდ 900 მილიონ დოლარს ითხოვს, ხოლო კიდევ 3 მილიარდი, ირანელების დაუკითხავად, საარბიტრაჟო სასამართლომ დაამატა. ექსპერტი იურისტები ამტკიცებენ, რომ შეუძლებელია, ეს სიმართლე იყოს. სასამართლო ამას გადაწყვეტილების გამოტანამდე ვერ გააკეთებდა. საარბიტრაჟო სასამართლო თავისი შეხედულებით სარჩელის ღირებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაზრდიდა, თუ ირანი მას საქმიანი რეპუტაციის შელახვის ან მორალური ზარალისთვის კომპენსაციის დაწესების თხოვნით მიმართავდა.

ირანისთვის საზენიტო სარაკეტო კომპლექს "ეს-300"-ის მიყიდვის თაობაზე ხელშეკრულებას ხელი 2007 წელს მოეწერა. რუსეთს უნდა მიეწოდებინა ხუთი დივიზიონი. კონტრაქტის ღირებულება დახლოებით 800 მილიონი დოლარი იყო. მაგრამ მოგვიანებით ირანს გაერო-ს უშიშროების საბჭომ სანქციები დაუწესა, რომლიც ამ ქვეყნისთვის შეიარაღებისა და ბირთვული ტექნოლოგიების მიწოდებას კრძალავს. ამ სანქციებიდან გამომდინარე, რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა მედვედევმა 2010 წლის ივნისში ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის თანახმადაც შეწყდა ირანისთვის ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებების, ჯავშანტექნიკის, საბრძოლო ავიატექნიკისა და გემების მიწოდება. რუსეთმა ირანს დაუბრუნა ავანსი - 167 მილიონი დოლარი, მაგრამ ირანმა თავი მაინც შეურაცხყოფილად იგრძნო.

გაერო-ს სანქციების გარდა, აშშ-მ, ევროკავშირმა და სხვა რამდენიმე სახელმწიფომ ირანის წინააღმდეგ მოგვიანებით სხვა, უფრო მკაცრი სანქციებიც შემოიღეს.

მოამზადა ივა შილაკაძემ

საფრანგეთიდან ბოშებს ისევ აძევებენ

საფრანგეთის პოლიციამ ბოშათა რამდენიმე უკანონო ბანაკის ლიკვიდაცია დაიწყო მას შემდეგ, რაც ახალმა სოციალისტურმა მთავრობამ პირობა დადო, რომ, სანიტარიული მიზეზებიდან გამომდინარე, მათ წინააღმდეგ შესაბამის ზომებს მიიღებდა.

ორი ბანაკი დაკეტეს ლილთან ახლოს ხუთშაბათს, დილით. ცოტა ხნით ადრე კი დაკეტეს ბოშათა ბანაკები პარიზსა და ლიონის გარეუბანში. დაახლოებით, 240 ბოშა აღმოსავლეთ ევროპიდან თვითმფრინავებით გაგზავნეს ბუქარესტში მას შემდეგ, რაც ისინი ნებაყოფლობით დათანხმდნენ რუმინეთში დაბრუნებაზე, კომპენსაციის სანაცვლოდ.

კრიტიკოსები ამბობენ, რომ სოციალისტები იმეორებენ ბოშების ბანაკების მასობრივი ლიკვიდაციის პოლიტიკას, რომელსაც საფრანგეთის წინა პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ატარებდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მანუელ ვალსმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უკანონო ბანაკების ლიკვიდაციაზე ზედმიწევნით შესრულდება. "ანტისანიტარია, რომელიც ბანაკებში მძვინვარებს, მიუღებელია," - განაცხადა მან. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ გაიარა კონსულტაციები ადგილობრივ პოლიტიკოსებთან და საცხოვრებელ ასოციაციებთან, რათა მათი დახმარებით მომხდარიყო დაუცველი მოსახლეობის, ბავშვებისა და ქალების ნორმალურ საცხოვრებელ პირობებში გადასახლება.

ბოშათა უკანონო ბანაკების მასობრივმა აღებამ 2010 წელს სარკოზის ხელისუფლების მიერ და ბოშათა გასახლებამ საფრანგეთის მეზობელი სახელმწიფოების და ევროკომისიის პროტესტი გამოიწვია.

ლიონის ირგვლივ ბანაკების დაკეტვის შედეგად, სენტ-ეგზიუპერის აეროპორტიდან დაახლოებით 240 ბოშა ბუქარესტში გაამგზავრეს. ისინი დათანხმდნენ, დაეტოვებინათ საფრანგეთი, კომპენსაციის მიღების სანაცვლოდ.

ბოშათა უფლებების დამცველები ამბობენ, რომ თავიანთ ქვეყნებში დაბრუნების შედეგად ისინი დისკრიმინაციის მსხვერპლნი აღმოჩნდებიან. გარდა ამისა, ერთ-ერთმა აქტივისტმა, რომელიც ბოშათა უფლებების დასაცავად გამოდიოდა, საფრანგეთის ტელევიზიასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ნებაყოფლობით ქვეყანაში დაბრუნება კომპენსაციის სანაცვლოდ, რომელიც ოჯახის თითოეულ მოზდრილ წევრზე 300 ევროს ითვალისწინებს - სახელმწიფო ფულის უაზროდ ფლანგვაა, რადგანაც ბევრი ბოშა მაინც დაბრუნდება საფრანგეთში.

გაძევებული ბოშები ევროკავშირის მოქალაქეები არიან. ძირითადად, ისინი საფრანგეთში რუმინეთიდან და ბულგარეთიდან ჩავიდნენ, თუმცა საფრანგეთის კანონი მოითხოვს, რომ მათ ამ ქვეყანაში მუშაობის უფლების დამადასტურებელი საბუთი ჰქონდეთ. ამას გარდა, მათ უნდა დაადასტურონ, რომ აქვთ ცხოვრებისთვის საჭირო სახსრები, იმ შემთხვევაში, თუ სამ თვეზე დიდხანს სურთ ქვეყანაში დარჩენა.

მოამზადა
სალომე ჯანიაშვილმა

შეურაცხადი "დენვერელი მსროლელი"

ხათუნა გაბიევი



კოლორადოში ხმაურიანი სასამართლო პროცესისთვის ემზადებიან, უკვე გაიმართა წინასწარი მოსმენა, სადაც განიხილება 20 ივლისს კინოთეატრში "ბეტმენი: შავი რაინდის აღზევების" პრემიერაზე მომხდარი საზარელი ტრაგედიის საქმე. "დენვერელი მსროლელი" შეურაცხადია, - ასეთია ჯეიმს ჰოლმსის ადვოკატების განცხადება.

ადოკატების თქმით, მათ მეტი დრო და ინფორმაცია სჭირდებათ იმისთვის, რომ დამნაშავის მდგომარეობა სრულად შეაფასონ. **"ჩვენ არ შეგვიძლია სრულად შევაფასოთ ჰოლმსის ფსიქიკური აშლილობის სიღრმე და თვისებები მანამდე, ვიდრე ამომწურავი სამედიცინო დასკვნა არ გვექნება,"** - განაცხადა ჯეიმს ჰოლმსის ადვოკატმა დენიელ კინგმა. მისი თქმით, პროკურორებს ხელთ ჯერჯერობით მხოლოდ პოლიციის ანგარიში აქვთ ექსპერტთა ფოტოების, ჩანაწერებისა და მტკიცებულებების გარეშე. ცხადია, დასრულებული არ არის ყველა მოწმისგან ჩვენების მიღებაც.

"ინფორმაციის მოცულობა, რომლის თავმოყრაც აუცილებელია, საკმაოდ დიდია," - აღიარა კიდეც პროკურორმა რიჩ ორმანმა.

ცხადია, საქმისადმი ინტერესი განუზომლად დიდია, რასაც მოსამართლისადმი მედიის სფეროს წარმომადგენელთა თხოვნაც ადასტურებს. უილიამ სილვესტრს ჟურნალისტებმა საქმესთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის გასაჯაროება სთხოვეს, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეები ამ ქმედებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ. სასამართლოს განკარგულების თანახმად, ინფორმაციის გაცემის უფლება ჯერ არც დენვერში კოლორადოს უნივერსიტეტს აქვს, სადაც ჯეიმს ჰოლმსი თავის სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობდა.

ამ დროისთვის უცნობია ისიც, თუ როგორ გეგმავდა ეჭვმიტანილი თავდასხმას და ასევე როგორ დანაღმა საკუთარი სახლი, რომლის განაღმვაზეც პოლიციელებს, სპეციალისტებთან ერთად, ტრაგედიის დღესვე რამდენიმე საათი დასჭირდათ.

მართალია, პროკურორები ადვოკატებთან ერთად საგულდაგულოდ ცდილობენ ინფორმაციის გაჟონვის თავიდან აცილებას, მაგრამ რამდენიმე დეტალი მედიით მაინც გავრცელდა. როგორც ირკვევა, დენვერის უნივერსიტეტის ფსიქიატრი, დოქტორი ლინ ფენტონი ჰოლმსის საეჭვო ქცევების შესახებ პოლიციას ჯერ კიდევ ტრაგედიამდე რამდენიმე კვირით ადრე აფრთხილებდა. ლინ ფენტონი კარგად იცნობს "დენვერელ მსროლელს", რომელმაც თავდასხმის გეგმისა და აღწერის შესახებფსიქიატრს ჩანაწერებიც გაუგზავნა. კონვერტში მოთავსებული ჩანაწერი კინოთეატრში მომხდარი ტრაგედიიდან მესამე დღეს უნივერსიტეტის საფოსტო განყოფილებაში იპოვეს.

კოლორადოს შტატში ტრილოგიის მესამე ნაწილის ჩვენებაზე ჯეიმს ჰოლმსის სისასტიკეს 12 ადამიანი შეეწირა, 58 კი დაშავდა.

სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

პირველი რეგიონალური ორგანიზაცია კონსტიტუციონალიზმის სფეროში
ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

„კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები"

წაიკითხე → შეიმეცნე → დაიმახსოვრე

ყოველკვირეული რუბრიკა

უძღვება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

მუხლი 65

1. საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით აბდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას.
2. იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გარდა, რომლებიც ითვალისწინებენ რატიფიცირებას, სავალდებულოა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც:

ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;
ბ) სამხედრო ხასიათისაა;
გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას;
დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ ესესხის აღებასა და გაცემასთან;
ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების მიღებას.

3. პარლამენტს უნდა ეცნობოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დადების შესახებ.
4. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

რატიფიცირება ეს არის უფლებამოსილი პირის მხრიდან უკვე ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დამტკიცება, მათთვის იურიდიული ძალის მინიჭება პარლამენტის მხრიდან.

დენონსირება თავად ხელშეკრულების დებულებების თანახმად მისი მოქმედების ცალმხრივად, ერთი მხარის მიერ შეწყვეტას ნიშნავს.

გაუქმება იგივე ანულირებაა, ანუ საერთაშორისო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ფორმა, მაშინ როდესაც მეორე მხარე მის პირობებს მნიშვნელოვნად დაარღვევს. საერთაშორისო ხელშეკრულება ასევე შეიძლება გაუქმდეს საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს პარლამენტი სხვადასხვა ფორმით მონაწილეობს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ფორმირებაში. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ საკანონმდებლო ორგანო ახორციელებს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას. რატიფიცირების, დენონსირების, ან გაუქმებისათვის საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას საქართველოს პარლამენტს საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს, რომელსაც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გადატანამდე პარლამენტის კომიტეტები განიხილავენ. აღნიშნულ განხილვებში აუცილებელია პრეზიდენტის, ან კიდევ მის მიერ უფლებამოსილი პირის მოწვევა.

საერთაშორისო ხელშეკრულების და შეთანხმების რატიფიცირებასთან, დენონსირებასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებით პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოხსენებით საქართველოს პრეზიდენტი ან კიდევ მის მიერ წარდგენილი უფლებამოსილი პირი წარსდგება. აღნიშნული საკითხი პარლამენტში განიხილება კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის დადგენილი წესით. გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ხოლო თუკი არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ითვლება, რომ საკითხმა ვერ გაიარა შესაბამისი პროცედურა და იგი უბრუნდება წამყვან კომიტეტს ხელახალი განხილვისათვის.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადების შემთხვევაში, რომლებიც რატიფიცირებას არ საჭიროებენ ვალდებულნი არიან მათი დადებიდან 1 თვის ვადაში აცნობონ პარლამენტს, რაც შეიძლება პარლამენტის განხილვის საგანიც გახდეს.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირების საკითხი შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოში იქნეს განხილული. საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოში კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა, სწორედ ამიტომ სარჩელის ან კიდევ წარდგინების შეტანის შემთხვევაში სწორედ ის ადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხს, კერძოდ: რამდენად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, რამდენად პარმონიულადაა საქართველოს კანონმდებლობასთან. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე რატიფიცირებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა წყდება.

ვერიკო ლატარია
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის სამოქალაქო განათლებისა დასაზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი

მუხლი 66

1. პარლამენტში კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონპროექტის ან დადგენილების მიღების სხვა წესი.
11. კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედი. (30.03.2001. №26).
2. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
3. პარლამენტის თანხმობა მიიღება დადგენილების სახით, თუ კონსტიტუციით სხვა წესი არ არის განსაზღვრული.
4. სხვა სახის გადაწყვეტილებათა მიღების წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

კანონპროექტის მიღება დაკავშირებულია საკანონმდებლო პროცესთან, რომელიც შედგება სხვადასხვა სტადიებისგან. პირველი სტადია ეს არის საკანონმბლო ინიციატივის უფლების მქონე პირის მიერ კანონპროექტის წარდგენა. შემდგომი სტადიაა პარლამენტში სამი მოსმენით პროექტის განხილვა და კენჭისყრით მიღება. ამის შემდგომ ის გადაეგზავნება პრეზიდენტს ხელმოსაწერად და გამოსაქვეყნებლად.

პარლამენტისათვის წარდგენილ კანონპროექტს განიხილავენ კომიტეტები. პარლამენტის ბიუროს მიერ განსაზღვრული წამყვანი კომიტეტი კანონპროექტის განსახილველად მართავს კომიტეტის სხდომას ამ კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი, მეორე და მესამე მოსმენებით განხილვისათვის. პარლამენტი წამყვანი კომიტეტის სხდომის შემდეგ კანონპროექტს განიხილავს სამი მოსმენით. კანონპროექტის პირველი მოსმენისას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილება მისი ზოგადი პრინციპები და ძირითადი დებულებები. კანონპროექტის მეორე მოსმენისას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე იგი განიხილება ქვეპუნქტების, პუნქტების, მუხლების, თავების და კარების მიხედვით და კენჭი ეყრება ერთიანად. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და მიღების შემდეგ, კანონპროექტი გადაეცემა წამყვან კომიტეტს მესამე მოსმენისათვის მოსამზადებლად. მეორე მოსმენით მიღებიდან 5 დღის ვადაში წამყვანი კომიტეტი მეორე მოსმენისას გაზიარებულ შენიშვნებს ასახავს კანონპროექტში და გადასცემს მას პარლამენტის ბიუროს მესამე მოსმენით განხილვისათვის პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად. მესამე მოსმენისათვის პარლამენტის წევრებს ურიგდება კანონპროექტის რედაქტირებული ვარიანტი, რომელშიც ასახულია კანონპროექტის მეორე მოსმენისას გამოთქმული და გაზიარებული შენიშვნები. მესამე მოსმენისას კანონპროექტს კენჭი ეყრება ერთიანად. კანონპროექტის მესამე მოსმენისას მასში შესაძლებელია მხოლოდ რედაქციული ცვლილებების შეტანა. კანონპროექტი მიღებულად ითვლება მისი მესამე მოსმენით მიღების შემდეგ.

კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედი. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კანონის, პარლამენტის რეგლამენტის ან დადგენილების პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ საქართველოს კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

პარლამენტის თანხმობა, როგორც წესი, მიიღება დადგენილებით. კანონის ან დადგენილების პროექტის ან პარლამენტის სხვა აქტის მიღების თარიღად ითვლება პარლამენტის მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე.

მზია ფუტკარაძე
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი,
საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

ქ.ბათუმი, სოფლისა ალმაშენებლის, №26
ტელ: (+995 32) 2 72 57 12; (+995 32) 2 72 57 21
WWW.CONSTCENTRE.GOV.GE

11-12 აგვისტო

კინო

"ტედი"

რეჟისორი: სეთ მაკფარლეინი
როლებში: მარკ უოლბერგი, მილა კუნისი, სეთ მაკფარლეინი, ჯოელ მაკჰეილი, ჯოვანი რიბიზი, პატრიკ ბარბერტონი
ჟანრი: კომედია, ფანტასტიკა
ხანგრძლივობა: 106 წთ
ამირანი - 13.15; 15.25; 17.35; 19.45;
რუსთაველი - 15.15; 17.30; 20.00; 22.30;

"ბეთმენი: შავი რაინდის აღზევება"

რეჟისორი: კრისტოფერ ნოლანი
როლებში: კრისტიან ბეილი, ტომ ჰარდი, ლიამ ნისონი, მორგან ფრიმანი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი დრამა
ხანგრძლივობა: 165 წთ
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 12.30; 15.45; 19.30; 22.45
რუსთაველი - 12.00; 15.15; 19.00; 22.30

"ციდან სამ მეტრზე"

რეჟისორი: ფერნანდო გონსალეს მოლინა
როლებში: მარიო კასასი, მარია ვალვერდე, კლარა ლაგო, ალვარო სერვანტესი, ანდრეა დურო, ლუის ფერნანდესი
გახმოვანება: რუსული
რუსთაველი - 12.00; 22.54

"ადამიანი ობობა 3" - D3

რეჟისორი: მარკ უები
როლებში: ენდრიუ გარფილდი, ემა სტოუნი, რის ივანსი,
ემბეტ დევიდჩი, მარტინ შინი, სალი ფილდი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 12.15
რუსთაველი - 14.00; 17.15

"ფიფქია და მონადირე"

რეჟისორი: რუპერტ სანდერსი
როლებში: კრისტენ სტიუარტი, კრის ჰემსუორტი, შარლიზ ტერონი, სემ კლაფლინი, სემ სპრუელი, იან მაკშეინი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 15.45
რუსთაველი - 15.00; 20.00; 22.30

"რომის არდადეგები"

რეჟისორი: ვუდი ალენი
როლებში: ვუდი ალენი, პენელოპა კრუსი, ჯესი აიზენერგი, ალეკ ბოლდუინი, რობერტო ბენინი, ფლავიო პარენტი, ჯუდი დევისი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 15.00; 20.15; 22.45

გალერეა

თიბისი გალერეა
მამია მალაზონიას პერსონალური გამოფენა

ეროვნული გალერეა

"პეტრე ოცხელი - რეტროსპექტივა"
გამოფენა ეძღვნება პეტრე ოცხელის დაბადებიდან 105 წლის იუბილეს

ᲕᲔᲠᲘᲡ ᲣᲑᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘ

პირველი გვერდიდან

ერთი სიტყვით, კრიტიკა ბევრი იყო, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ყველასთვის საყვარელი ფილმის მიხედვით გაკეთებული დადგმა ვერა და ვერ იქცა სახალხო მოვლენად - ის სულ რამდენჯერმე აჩვენეს, მათ შორის, თბილისშიც და სულ ეს იყო.

აღმოჩნდა, რომ მიუზიკლების ინკოგნიტო და საკმაოდ გავლენიან მოყვარულს კრიტიკა სულაც არ ადარდებს და მზადაა, საზოგადოების დამოკიდებულების მიუხედავად, ახალი წარმოდგენა დადგას. რეალურად, სწორადაც იქცევა, რადგან სასურველი შედეგი მხოლოდ დიდი შრომის, წვალებისა და ძიების შედეგად მიიღწევა, ამიტომ თუ ამის ფინანსური რესურსები არსებობს, მაშინ თემას რა გამოლევს - დავდგათ იქამდე, ვიდრე ჩვენს სცენას (უფრო ბათუმისას) ახალ ბროდვეიდ არ მონათლავენ...

რაც შეეხება "ვერის უბნის მელოდიებს", მისი დადგმის პატივი ამჯერად არა დათო დოიაშვილს, არამედ მის უცხოელ კოლეგა რედა ბენტიფორს ხვდა წილად, რომელიც მიუზიკლის რეჟისორიცაა, მთავარი ქორეოგრაფიც და კოსტუმების ესკიზებიც მას ეკუთვნის. ბენტიფორის აქტივში ელტონ ჯონთან ვანესა პარადისთან, დაიანა როსთან და მაიკლ ჯეკსონთან თანამშრომლობა ირიცხება, რაც ნიშნავს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების მხრივ "ვერის უბნის მელოდიები," წესით, კარგი უნდა გამოვიდეს. დანარჩენი მხარეების მოგვარებაზე კი დადგმის მუსიკალური ხელმძღვანელი ნიკოლოზ რაჭველი და არგენტინელი მხატვარი და სცენოგრაფი სანტიაგო ფერნანდესი ზრუნავენ. მიუზიკლში ასევე გამოყენებულია ილიკო სუხიშვილის ქორეოგრაფიაც.

"ვერის უბნის მელოდიების" სამსახიობო ანსამბლის ჩამონათვალს კვლავაც ქვეყნის მთავარი პრიმა სოფო ნიჟარაძე ხსნის, მის კვალდაკვალ კი ნოდიკო ტატიშვილის, ქეთათო ჩარკვიანის, სტეფანე მღებრიშვილის, სალომე ჭაჭუას, გიორგი ვარდოსანიძის, სამორი ბალდესა და სხვათა სახელები იკითხება. აქვეა ბუბა კიკაბიძეც, თუმცა ამჯერად არა მედროგე პავლეს როლში (ამ უკანასკნელს ნოდიკო ტატიშვილი თამაშობს).

შესაძლოა, რედა ბენტიფორს არც აქვს ნანახი ფილმი, რომლის მიხედვით დადგმულ მიუზიკლსაც დღეს ჩვენს მაყურებელს წარმოუდგენს, მისგან განსხვავებით კი ის საქართველოში ყველას უნახავს. "ვერის უბნის მელოდიები" პირველი ქართული ფილმი-მიუზიკლი გახლავთ, რომელიც გიორგი შენგელაიამ 1973 წელს, თავისი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფილმის, "ფიროსმანის" შემდეგ გადაიღო. ამრიგად, მაყურებლისთვის სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა, როდესაც უმცროსმა შენგელაიამ რადიკალური ჟანრული ცვლილება შესთავაზა. ფილმზე არაჩვეულებრივი გუნდი მუშაობდა, მათ შორის, მუსიკის ავტორი გოგი ცაბაძეც. ძალიან ძლიერი იყო სამსახიობო ანსამბლიც: სოფიკო ჭიაურელი, ბუბა კიკაბიძე, კახი კავსაძე, დოდო აბაშიძე, ეროსი მანჯგალაძე, ია ნინიძე, მაია კანკავა, ბორის წიფურია, ალისა ფრეინდლიხი, რამაზ ჩხიკვაძე, გოგი გეგეჭკორი, გოგი ქავთარაძე, ბაადურ წულაძე და სხვები.

ეს სწორედ ის ხალხია, ვის წინაშეც თანამედროვე მიუზიკლის ავტორებს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ, დანარჩენს კი მაყურებელი თავად შეაფასებს...

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲢᲘᲚᲝᲔᲑᲘ

მაშინ როდესაც მსოფლიო კულტურულ მოვლენებს მცირედი შესვენება აქვთ და მედიაც სექტემბერს ელის, მისი ყურადღება აუქციონებსა და ცნობილი ტილოების ახალ-ახალი სენსაციურ ამბებს ეთმობა.

The Daily Telegraph-ის ცნობით დნმ-ის ანალიზი დაადგენს ეკუთვნის თუ არა "პიონების პეიზაჟი" ჰოლანდიელ მხატვარს ვან გოგს. ამისათვის სპეციალისტები, ტილოზე აღმოჩენილ თმის დნმ-სა და ვან გოგის, დღემდე ცოცხალი, შთამომავლების დნმ-ებს შეადარებენ.

როგორც რესტავრატორი ესტერ მონიკი აღნიშნავს, აღმოჩენილი თმის ღერი, საღებავის ფენებს შორის ისე ღრმად იყო, რომ თითქმის დარწმუნებულია, რომ ის პეიზაჟის ავტორს ეკუთვნის. ჟღალი ფერის თმა სიგრძეში დაახლოებით 8 სანტიმეტრისაა.

"პიონების პეიზაჟი" კოლექციონერს ეკუთვნის, რომელმაც ნახატი მამისგან მემკვიდრეობით მიიღო. ტილო 1977 წელს სხვენში იპოვეს და მას შემდეგ მსჯელობა იყო, თუ ვინ არის მისი ავტორი.

მფლობელის აზრით, პეიზაჟი ვან გოგმა 1889 წლის გაზაფხულზე, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე დახატა. ტილოს შესწავლის შემდეგ ეს ვერსია ორმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა დაადასტურა. თუმცა ამსტერდამის მუზეუმი არ აღიარებს ამ ვერსიას. მუზეუმის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ პეიზაჟი არ ემთხვევა მხატვრის სტილს და ტილო ხელოვნური სიყალბეა.

თუ აღმოჩნდება, რომ "პიონების პეიზაჟი" მართლაც ვან გოგს ეკუთვნის, მისი ფასი 39 მილიონ ფუნტ სტერლინგი იქნება.

ამასობაში კი ლეონარდო და ვინჩის უცნობი ტილო 156 მილიონ დოლარად შეფასდა და ეს გარკვეულწილად საინტერესო ფასია. თუმცა ფასზე მეტად აქ აღმოჩენაა მნიშვნელოვანი.

ეს ამბავი კი ერთ-ერთ შოტლანდიურ ფერმაში მოხდა. "დავინჩის ეს ნამუშევარი ექსპერტებს შოტლანდიელმა ექიმმა ფიონა მაკლარენმა მიუტანა, რომელსაც ამ ნახატის გაყიდვა და ცოტაოდენი ფულის შოვნა უნდოდა",- წერს ბრიტანული ინტერნეტგამოცემა People.

მხატვრის უცნობი ტილო 1960 წლიდან მაკლარენოვების ოჯახს ეკუთვნის და ბოლო 11 წელი მათ ფერმაში ეკიდა. "ეს ტილო მამაჩემს, რომელიც ასევე ექიმი იყო, ერთ-ერთმა პაციენტმა აჩუქა",- იხსენებს 59 წლის ფიონა.

"წლების განმავლობაში ჩვენ გვეგონა ამ ტილოზე ღვისმშობელი იესოსთან ერთად იყო დახატული, მაგრამ კვლევებმა აჩვენა, რომ ნახატზე მარია მაგდალინელია", - ამბობს ფიონა.

შოტლანდიის "სოთბის" საუქციონო სახლის უფროსი, ჰარი რობერტსონი ამბობს, რომ აღმოჩენილი ტილო დაახლოებით 500 წლისაა და ზედ ბიბლიური პერსონაჟი მარია მაგდალინელი და მისი შვილია. ტილო კი, შეიძლება 156 მილიონ დოლარზე მეტად გაიყიდოს.

ექსპერტიზის საბოლოოდ დასრულების შემდეგ ფიონა ნახატის რომელიმე მსოფლიოს წამყვანი მუზეუმისთვის შეთავაზებას აპირებს.

europe-bet.com

"ლონდონი 2012"-ს წარმოგიდგენთ

ვერცხლისფერი სინანული

პირველი გვერდიდან

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ ოლიმპიადაზე წამოსვლამდე თქვა - ბიჭები რკინიას კვნეტენო და ლადომაც ისე დაიწყო, თურმანიძის სიტყვები გამახსენდა. მეთექვსმეტედფინალში ეგვიპტელ იფა მოჰამედს აჯობა, მერვედფინალში კი ბულგარელ მსოფლიო ჩემპიონ ველიკოვთან ჩაატარა უაღრესად შთამბეჭდავი დუელი. გადამწყვეტ, მესამე რაუნდში ლადომ 4 ქულა აართვა სახელოვან მეტოქეს და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც 18 წლის ინდოელ ფალავანს ორ პერიოდში გაუსწორდა. ნახევარფინალში ლადოს ურთულესი ბრძოლა ელოდა იაპონელ იუმოტოსთან. პირველი 2-წუთეულის მოგების შემდეგ ლადომ მეორე პერიოდი დათმო, თან ფეხი იტკინა და დაზაფრულები შევყურებდით გადამწყვეტ რაუნდს. ლადომ ბოლო ძალები მოიკრიბა და ორი, ქულიანი გდება განახორციელა, რითიც ფინალის საგზური მოიპოვა.

ფინალში ქართველი ფალავნის წინაშე რუსეთის სახელით მოასპარეზე ლეკი ჯამალ ოთარსულთანოვი წარსდგა. ლეკმა შარშან დორტმუნდში გამართული ევროპის ჩემპიონატის ფინალი მოუგო ლადოს და გასაგები იყო, რომ ქართველ ფალავანს იოლი ბრძოლა არ ექნებოდა. პირველ პერიოდში ლადოს არ გაუმართლა კენჭისყრით ოთარსულთანოვს მიენიჭა ფეხში შესვლის უპირატესობა და მანაც მოიგო რაუნდი. მეორე 2-წუთეულში კი ლადო მოდუნდა და ქულა დაკარგა. მას ისღა დარჩენოდა რისკზე წასულიყო და იმდენი მოახერხა, რომ რაუნდის დასრულებამდე 20 წამით ადრე დაწინაურდა (3:2), მაგრამ ეს 20 წამი ველარ გაძლო და ლეკმა მოახერხა დაკარგულის ანაზღაურება. ბოლო წამებზე კი ლადომ ნახევარილეთი გააკეთა, რაც ქულად აღარ ჩაუთვალეს და ვერცხლის მედალს

დასჯერდა. საერთო აღიარებით, საქართველომ ვერცხლი მოიპოვა, მაგრამ ოქრო დაკარგა.

"ძალიან იმედგაცრუებული ვარ. ფინალის წაგება ორმაგად მწარეა. მით უფრო, რომ ანგარიში მიმყავდა და შემეძლო პაექრობა მესამე პერიოდში გადამეყვანა. ეს არის ჭიდაობა. ერთი მოდუნება მარცხად დამიჯდა. მადლობა ყველას, ვინც მქომაგობდა. მოხარული ვარ, რომ საქართველოს მედალი მოვუტანე, მაგრამ ფინალის გამო გული დამწყდა - განაცხადა ლადო ხინჩეგაშვილმა."

ოთარ ტატიშვილი (საქართველოს ნაკრების მწვრთნელი): "ხომ დაინახეთ ლადომ შეხვედრიდან შეხვედრამდე დახვეწა ჭიდაობა და უფრო აგრესიული გახდა. მან გაიარა ბულგარელი მსოფლიო ჩემპიონი და ზოგადად ისეთი ბადე დაძლია, რომ ჩემპიონის წოდება ნამდვილად ეკუთვნოდა. უბრალოდ ფინალში მოდუნდა და ამის გამო დაისაჯა."

თემო ყაზარაშვილი (მსოფლიო ჩემპიონი): "საწყენია, რომ მეორე პერიოდში ლადომ 20 წამი ველარ გაძლო. ის ნახევარგდება ქულა არ იყო, რადგან, როცა გდებას აკეთებ მეტოქეს ან ზემოდან უნდა მოექცე, ან ბოლომდე გადაატრიალო. მსგავსი არ ყოფილა, ამიტომ ეს გდება ქულად ვერ ჩაითვლებოდა. კარგია, რომ ვერცხლი მოვიგეთ. ხვალ მარსაგიშვილი ჭიდაობს. მან ახალგაზრდებს შორის ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა და ამიტომ დიდად გვეიმედება. მით უფრო, რომ კენჭისყრაც საკმაოდ იღბლიანი გამოუვიდა. ნახევარფინალამდე მეტ-ნაკლებად სერიოზულ მეტოქეს არ ხვდება."

დავით გობეჯიშვილი (სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი): "გული მწყდება. ფინალია, ბოლო ბრძოლა და ასეთი იმედგაცრუება. 3:3-ზე ის გდება ქულად არ ჩათვალეს. ჩვენებმა გააპროტესტეს და რაკი მსაჯებმა გადაწყვეტილება აღარ შეცვალეს, ამიტომ ქულა, პირიქით ოთარსულთანოვს ერგო."

გია გალდავა (საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე): "როგორც ვხედავთ, უკვე მესამე სახეობაა, საჩოთირო მომენტებს მეტოქეების სასარგებლოდ წყვეტენ. ამიტომ ერთადერთი გამოსავალია, უნდა მოიგო რა? ისე, რომ ეჭვი არავის შეეპაროს."

74 კგ. წონით კატეგორიაში დავით ხუციშვილმა ასპარეზობა ძალიან კარგად დაიწყო. მეთექვსმეტედფინალში ქართველმა ფალავანმა მონღოლი პურევიავი გამოთიშა ასპარეზობიდან. მერვედფინალში კი გვინეა ბისაუს წარმომადგენელ, ვინმე მიდანას გადაეყარა. დავითმა ბრძოლა ჩვეულ სტილში, დინჯად, ყურადღებით წარმართა, მესამე გადამწყვეტ პერიოდში მეტოქეს 3 ქულა აართვა და მეოთხედფინალში გავიდა. აქ მას მოწინააღმდეგედ რუსი ფალავანი ცარგუში ერგო.

ცარგუში ძლიერი მოჭიდავეა, მაგრამ ხუციშვილს შეეძლო მისი ბარიერის დაძლევა. ოღონდ ეგ არის, ყურადღება გაეფანტა და კონცენტრაცია დაკარგა. რუსმა ორ პერიოდში მოიგო. პირველში - 4:0, მეორეში - 1:0 და ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ რაკი ამ ეტაპზე ის ამერიკელმა ბარუჯსმა შეაჩერა, შესაბამისად, ხუციშვილიც გამოეთიშა ასპარეზობას.

p.s გუშინვე ქართული საიტებით გავრცელდა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის კომენტარიც: "შეხვედრის დასრულებისთანავე გავაპროტესტეთ მსაჯების გადაწყვეტილება. გაირკვა, რომ არც თუ უსაფუძვლოდ ვითხოვდით ბოლო წამზე შესრულებული ილეთის შეფასებას და გადაწყდა, რომ სამივე მსაჯი ოლიმპიურ თამაშებს ჩამოსცილდება. ეს ჩვენთვის დიდი ვერაფერი შეღავათია, შედეგს ველარავინ შეცვლის, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, დამნაშავეები რომ დაისჯებიან. სამწუხაროდ ეს უსამართლობის არც პირველი შემთხვევა იყო და არც ბოლო იქნება. საჭიდაო სახეობებში ბევრ არაობიექტურ გადაწყვეტილებას იღებენ, ძირითადად რუსი სპორტსმენების სასარგებლოდ".

ლონდონში ლონდონი დაგვავიწყეს

პირველი გვერდიდან

კაცები მაყალზე აშიშხინებულ მწვადს დასტრიალებდნენ, ღვინოს ეზიდებოდნენ. ქალები სუფრას შლიდნენ. ლონდონელმა ქართველებმა საქართველოს მიკროკლიმატი შეგვიქმნეს. მანამდე მამა დოროთემ ეკლესიის კარი შეგვიღო და აგვისტოს ომში დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა.

ტაძარი, რომლის შესყიდვა დაახლოებით ორი წლის წინათ დიდ ბრიტანეთში მცხოვრები თამაზ სომხიშვილის დახმარებით გახდა შესაძლებელი, მე-19 საუკუნეშია აგებული და ერთ-ერთი უნიკალური ვიტრაჟიც აქვს.

ტაძარი, რომელიც დღეს უკვე ქართველებს ეკუთვნის, ორი საუკუნის წინ ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ააგო. შემდეგ რატომღაც სარწმუნოებაზე გული აუცრუვდა, რელიგიურ ცხოვრებას შეეშვა და ეკლესიაც დახურა. სწორედ მისი მემკვიდრისგან იქირავეს ტაძარი ქართველებმა ორი წლის წინათ, იმ პირობით, რომ ერთ წელიწადში იყიდდნენ.

ქართული დელეგაცია კი ვთქვი, მაგრამ აქ მხოლოდ მისი ერთი ნაწილი იყო წარმოდგენილი, ისინი, ვინც

გიგა ბერასაშვილის ფოტო

ასპარეზობები დაასრულეს. რა თქმა უნდა, იყვნენ ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი, ვერცხლის მედლის მფლობელი რევაზ ლაშხი და ბრინჯაოსანი მანუჩარ ცხადაია. იყვნენ ისინი, რომლებსაც ოლიმპიურ თამაშებზე არ გაუმართლათ ან მსაჯებმა მედლამდე არ მიუშვეს.

ქართულ მრევლთან, ისევე როგორც სხვა შეხვედრებს ქართულ სახლში, ესწრებოდა დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიის რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გიორგი ბადრიძე.

ძირითადი მოვლენები მაყალთან ვითარდებოდა, ოლიმპიელებს მისკენ გაექცათ თვალიც და ხელიც. ჩემპიონებმა, პრიზიორებმა თუ მათმა თანაგუნდელებმა თავადაც შეწვეს მწვადი. მათი ხელით მორთმეულსაც ყველამ გაუსინჯა გემო.

სასაუბრო თემად ოლიმპიური თამაშების დარჩენილ დღეებში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შანსების განხილვა იყო. ლონდონელი ქართველების დიდი ნაწილი იმაზე წუხდა, რომ თანამემამულეთა ასპარეზობებს მხოლოდ ტელევიზორით ადევნებდა თვალყურს.

"დილას" მეტოქედ "მარიტიმუ" ერგო

პირველი გვერდიდან

"კენჭისყრაზე ძლიერი გუნდები იყვნენ, მაგრამ ჩვენ ყველაზე უცნობი შეგვხდა. ახლა შევისწავლი ამ გუნდს და შესაბამის დასკვნებს გავაკეთებ. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ფეხბურთში იოლი მატჩები არ არსებობს და ჩვენ ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ ორი თამაშის ჯამში წარმატებას მივაღწიოთ. ყოველთვის ვამბობ, რომ მეორე მატჩის ჩატარება სახლში მირჩევნია, მაგრამ ასე არ მოხდა. ახლა პირველი შეხვედრა წარმატებით უნდა დავასრულოთ, რომ დასახულ მიზანს მივაღწიოთ და ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდეთ" - თქვა "მარიტიმუს" თავკაცმა პედრო მარტინეშმა კენჭისყრის შემდეგ.

დიახ, გორელები პირველ მატჩს 23 აგვისტოს, კუნძულ მადეირაზე, ქალაქ ფუნშალში გამართავს. "მარიტიმუ" საშინაო მატჩებს სტადიონ "ესტადიო დოს ბარეიროშზე" ატარებს, სადაც 8922 გულშემატკივარი ეტევა. 42 წლის მარტინეში კი გუნდს 2010 წლიდან წვრთნის. წინა სეზონში "მარიტიმუმ" პორტუგალიის ჩემპიონატში მე-5 ადგილი დაიკავა და ევროპის ლიგაზე ასპარეზობის უფლება მიიღო. სხვათა შორის, უეფას თასზე და შემდეგ ევროპის ლიგაზე მადეირული კლუბი მერვედ მონაწილეობს. პორტუგალიის თასზე "მარიტიმუს" საუკეთესო შედეგი ორჯერ თასის ფინალში თამაშია. 1995 წელს მადეირელები "სპორტინგთან" 0:2 დამარცხდნენ, ხოლო 2001 წელს "პორტოსთან" 0:1 წააგეს.

"მარიტიმუს" რიგებში თავის დროზე ისეთ პორტუგალიელ ფეხბურთელებს უთამაშიათ, როგორებიც პეპე ("რეალი"), დანი ("ზენიტი"), ნუნუ ვალენტე (2005-2009 წლებში "ევერტონში" გამოდიოდა) არიან. ასევე, კლუბის ღირსებას იცავდა ბრაზილიელი კლებერი, რომელიც ამჟამად "პორტუს" ღირსებას იცავს.

სხვა პორტუგალიური კლუბების მსგავსად "მარიტიმუს" შემადგენლობაშიც ბრაზილიელი ფეხბურთელები მრავლად თამაშობენ. ასე რომ, თემურ შალამბერიძის შეგირდებს, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ტექნიკურ გუნდთან მოუწევთ დაპირისპირება. აქვე ვთქვათ, რომ საპასუხო მატჩი 30 აგვისტოს გაიმართება.

ლონდონის ოლიმპიადას ხიბლი აკლია

16 წლის ჩინელ გოგონას ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მთავარი სკანდალის აგორების შანსი ჰქონდა

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ლონდონის ოლიმპიადას რაღაც აკლია, ის, რაც მთელ თამაშებს ლაიტმოტივად გაჰყვებოდა. არადა, თითქოს ყველაფერი წესრიგშია - ბრძოლა, სენსაციები, ტრაგედიები, სიხარულის ცრემლები და წაგების შემდეგ ნაძალადევი ღიმილიც. თუმცა, ეს ყველა ქვეყანას თავისი აქვს. ვიღაცა ბადმინტონში ფავორიტების დისკვალიფიკაციის შემდეგ ბრინჯაოს მოგებას ზეიმობს, ვიღაცა ფარიკაობაში ოქროს მედლების დაკარგვაზე წუწუნებს. ეს, ასე ვთქვათ, ადგილობრივი მნიშვნელობის ვნებებია. ლონდონის ოლიმპიურ თამაშებს აკლია თემა, რომელიც მთელ მსოფლიოს მოიცავდა, რომლის განვითარებასაც დააკვირდებოდა ყველა, ვისაც ოლიმპიური თამაშები აინტერესებს.

ბევრ ოლიმპიურ თამაშებს ასეთი თემა ჰქონია. მაგალითად, სეული 1988. ბენ ჯონსონის დოპინგ სკანდალმა მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. ამ თემაზე მთელი ოლიმპიური თამაშების განმავლობაში საუბრობდნენ და მისი გამოძახილი დღემდე მოდის. დღემდე ყველას ახსოვს ლოს ანჯელესისა და მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტის ამბავიც.

ბარსელონა 1992 ყველას პირველი Dream Team-ით დაამახსოვრდა, თანაც, აშშ-ის საკალათბურთო ნაკრებმა ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე გაცილებით ადრე მიიპყრო ყურადღება. თავად ოლიმპიადაზე ამერიკელი კალათბურთელების თამაშზე კი ყველა ქვეყნის გაზეთები პირველ გვერდებზე წერდნენ. გულშემატკივრები მსჯელობდნენ, თუ რამდენით მოუგებდა Dream Team ამა თუ იმ გუნდს, რამდენ ქულას დააგროვებდა ესა თუ ის ვარსკვლავი.

ატლანტა 1996 - აქ მთავარ თემად არასპორტული მოვლენა იქცა. ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე მოწყობილმა აფეთქებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

ისე, შორს წასვლა რად გვინდა, ლონდონის წინა, პეკინის ოლიმპიადა გავიხსენოთ, როდესაც მთელი მსოფლიო სულმოუთქმელად ელოდა მაიკლ ფელპსის რეკორდს. მოიგებდა თუ არა ამერიკელი რვა ოქროს? ეს მართლაც მსოფლიოს ინტერესის საგანი იყო.

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებს ჯერჯერობით ასეთი არაფერი შემოუთავაზებია. ასეთს ვინ ჩივის, მსგავსი არაფერი ხდება. მედლებისთვის ბრძოლა აშშ-სა და ჩინეთს ან რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის საეჭვოა, რომ იტალიური ან ესპანური გაზეთების პირველ გვერდზე მოხვდეს და თუ მოხვდა, ისიც ერთხელ - ოლიმპიური თამაშების ბოლო დღეს. სკანდალი ბადმინტონში? კი ბატონო, სპორტის სახეობა პოპულარულია, მაგრამ მსოფლიოში დიდ ინტერესს ალბათ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიწვევს, თუ ყოველი თამაში ჩხუბით დამთავრდება და ამ ჩხუბის შემდეგ ერთი კაცი მაინც აღმოჩნდება საავადმყოფოში.

ლონდონს ჰქონდა შანსი, მიეღო სრულფასოვანი სკანდალი - კარგი, მსუყე სკანდალი, რომელიც ყველა გულშემატკივარს ააფორიაქებდა. ლონდონის ოლიმპიურ საცურაო აუზში ერთი შეხედვით გაუგონარი რამ მოხდა. 16 წლის ჩინელმა გოგონამ 400 მეტრზე კომპლექსური სტილით ცურვის ფინალში, უკანასკნელ ას მეტრზე, საოცარი შედეგი აჩვენა. როგორც აღმოჩნდა, ჩინელმა გოგონამ და ამერიკელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა რაიან ლოხტემ კომპლექსურ ცურვაში დისტანციის ბოლო ასი მეტრი ერთნაირ დროში დაფარეს. საოცრებაა? კი ბატონო! ყველამ იფიქრა, რომ ჩინელ ვუნდერკინდს დოპინგი ჰქონდა მიღებული, მაგრამ გოგონამ დოპინგ ტესტი უპრობლემოდ გაიარა. ერთი დღის განმავლობაში ეს ამბავი დღის თემადაც კი იქცა, მაგრამ მერე ყველაფერი ჩაწყნარდა. ბოლოს და ბოლოს, ამ მოვლენაში საოცარი და სკანდალური თურმე არაფერი ყოფილა. საქმე ის არის, რომ ლოხტე 400 მეტრზე კომპლექსური ცურვის ბოლო ასი მეტრის წინ უახლოეს მდევარს თითქმის ნახევარ აუზს უგებდა და ამიტომ ბოლო ასი მეტრი, შეიძლება ითქვას, ნახევარი ძალით გაცურა.

რაც შეეხება ფელპსის მორიგ რეკორდს - ეს ხომ უკვე მოსაბეზრებელიც კი გახდა.

ასე რომ, ჯერჯერობით ლონდონის ოლიმპიურ თამაშებს რაღაც განსაკუთრებული ხიბლი მაინც აკლია. შანსი იმისა, რომ ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის თემა ბოლო დღეებში გაჩნდეს, თითქმის აღარ არსებობს.